ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო პლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს როლი შავი ზღვის აუზში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების კუთხით

მაგისტრანტები: დავით ნიგურიანი, მიხეილ დენტოშვილი

ნაშრომი შესრულებულია საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე (ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით)

თანახელმძღვანელი: ზურაბ აგლაძე (დოქტორი ენერგო უსაფრთხოების მიმართულებით,მაგისტრის ხარისხი სტრატეგიასა და უსაფრთხოებაში)

ქ.თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი.....3

1. საქართველოს როლი შავი ზღვის რეგიონის ენერგო დივერსიფიკაციაში..... 12

2. საქართველოში არსებული და ჯერ კიდევ არ არსებული პორტების და ტერმინალის შესახებ 22

3. საქართველო და მისი სარკინიგზო მაგისტრალები 31

4. ელექტროენერგია საქართველოში და მისი გავლენა ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე 36

5. სატრანსპორტო დერეფანი, ანუ აბრეშუმის გზიდან ტრასეკამდე 43

6. საქართველო როგორც ლოგისტიკური ჰაბი? 47

7. საქართველო და მისი პოლიტიკური ჩართულობა შავი ზღვის რეგიონში 49

8. საქართველო I-ელ და II-რე მსოფლიო ომებსა და შემდგომ პერიოდში. 57

8.1 საქართველოს წვლილი და როლი I-ლ მსოფლიო ომში. 57

8.2 მოქმედებებში მონაწილე მხარეთა მიზნები. 59

8.3 კავკასიის ფრონტის მოქმედებების რაიონი. 60

8.4 დაპირისპირებულ მხარეთა შემადგენლობა და საომარი მოქმედებები. 61

8.6 I-ლი მსოფლიო ომის მოკლე ანალიზი და შდეგები. 68

8.7 საქართველო და II-მსოფლიო ომი. 71

8.8 ეროვნული მოძრაობა და დამოუკიდებლობის აღდგენა..... 80

9. საქართველოს გეოპოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოების როლი შავი ზღვის აუზში. 83

9.1 საქაართველოს პოლიტიკური არჩევანი. 83

8.2 საქართველო და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება. 85

9.2 რუსეთისა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშერულების წევრი ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობები და გავლენები, შავი ზღვის რეგიონსა და საქართველოზე. 91

დასკვნა და რეკომენდაციები..... 101

ანოტაცია

წინამდებარე კვლევის მიზანია გაკეთდეს ანალიზი, მიმდინარე პერიოდის საქართველოს როლზე შავი ზღვის აუზში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო

უსაფრთხოების კუთხით. საქართველოს უახლეს სამხედრო ისტორიაზე დაყრდნობით (პირველი მსოფლიო ომიდან სამაჩაბლოს 2008-წლის ომამდე) და შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოების კუთხით მიმდინარე პერიოდამდე არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, წარმოვადგინოთ კვლევის რეკომენდაციით ნაწილში ქვეყნის განვითერების ჩვენეული ხედვა თუ რა ქმედებების განხორციელებით არის შესაძლებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი პოპულარიზაცია და წინსვლა - განვითარება შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოების მიმართულებით.

შესავალი

ნაშრომი განიხნილავს და აანალიზებს საქართველოს როლს შავი ზღვის რეგიონში, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე უსაფრთხოების კუთხით. ნამუშევარი განიხილავს იმ პოლიტიკურ პრობლემებს, კონფლიქტებს, ეკონომიკურ თუ სამხედრო ფაქტორებს რომელზეც საქართველოს შეუძლია მოახდინოს გარკვეული ტიპის ზეგავლენა ან საქართველოზე ახდენს გარკვეულ გავლენას, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება შეცვალოს არსებული სიტუაცია უკეთესობისაკენ, რათა ხელი შეუწყოს რეგიონში პოლიტიკურ/ეკონომიკურ და სამხედრო სტაბილურობას.

იმ შემთხვევაში თუ საქართველო შეძლებს მიაღწიოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტში მოცემულ - ეროვნული ინტერესების გარკვეული პუნქტების შესრულებას, მაშინ საქართველო ექნება წინ გადადგმული ნაბიჯი ჩამოყალიბდეს, როგორც ეკონომიკური, ლოგისტიკური და სატრანზიტო კერა, რომელიც გააერთიანებს იმ გზაჯვარედინს, რომელიც ოთხივე მხრიდან გადის საქართველოზე. გზაგამტარის ფუნქცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშნვნელოვანი ისტორიული როლია საქართველოსათვის, რომელიც ქვეყანამ სწორად უნდა მოირგოს და ეფექტურად მართოს, რადგან აღნიშნული როლისაგან მიიღოს მაქსიმალური სარგებელი, და ეკონომიკური განვითარება.